



## ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება	ლიგალტექზე (სამართლის ტექნოლოგიებზე) ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის - EU AI Act-ის - გავლენა
პროექტის ხანგრძლივობა	6 თვე
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	3 000

### 1. პროექტის აბსტრაქტი

პროექტი მიზნად ისახავს სამართლის ტექნოლოგიებზე (ლიგალტექზე) ახლადმიღებული ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის (EU AI Act) ზეგავლენის შესწავლას. ხელოვნური ინტელექტის მზარდი როლი სამართლებრივ პროცესებში - ავტომატიზაციის, ანალიტიკისა და გადაწყვეტილების მიღების სისტემების მეშვეობით - მისი რეგულირების აუცილებლობას განაპირობებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ფუნდამენტური უფლებების დაცვა. ეს კვლევა განსაკუთრებით დროულია, რადგან AI აქტი ჯერ კიდევ არ შესულა სრულად ძალაში და მისი პრაქტიკული შედეგები - განსაკუთრებით სამართლის ტექნოლოგიების კონტექსტში - ჯერაც თითქმის უცნობია.

კვლევა გააანალიზებს AI აქტის სამართლებრივ და პრაქტიკულ გავლენას დეველოპერებსა და ინსტიტუციებზე - როგორც ევროკავშირის ფარგლებში, ისე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, რომელიც ცდილობს დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან. პროექტი შეავსებს არსებულ კვლევით ხარვეზს, ფოკუსით იმაზე, როგორ რეგულირდება იურიდიული AI ინსტრუმენტები აღნიშნული აქტით და რა სირთულეებს აწყდებიან დაინტერესებული მხარეები სამართლებრივი შესაბამისობის კუთხით. პროექტი სრულად შეესაბამება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიმართულებას სამართლის ტექნოლოგიების კვლევაში. პროექტი განხორციელდება ოქსფორდის უნივერსიტეტის Fintech და Legaltech Society-სთან თანამშრომლობით, რაც აძლიერებს პროექტის საერთაშორისო მნიშვნელობას და ექსპერტულ ჩართულობას.

კვლევა არა მხოლოდ აკადემიური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ პრაქტიკულადაც - დეველოპერებისა და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის საქართველოში, სადაც მზარდია ინტერესი ევროკავშირის ბაზრისთვის ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების შექმნისადმი. პროექტის შედეგები კონკრეტულ რეკომენდაციებს მიაწვდის იურისტებს, რეგულატორებსა და AI დეველოპერებს, რათა შეძლონ წარმატებით მოახდინონ ახალი სამართლებრივი ჩარჩოს



ინტერპრეტაცია და დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც რეგულატორულ შესაბამისობას, ასევე ინოვაციებს სამართლის ტექნოლოგიებში.

მეთოდოლოგიურად, პროექტი ეფუძნება ჰერმენევტიკულ ანალიზს - რომელიც გამოიყენება კომპლექსური სამართლებრივი ტექსტების ინტერპრეტაციისთვის - და შედარებითი სამართლის მეთოდს ევროკავშირის და საქართველოს რეგულაციებს შორის შესაბამისობის ან განსხვავებების გამოსავლენად. კვლევა გაგრძელდება ექვსი თვის განმავლობაში და მოიცავს სამართლებრივ ანალიზს, ექსპერტულ კონსულტაციებს, საქართველოს კანონმდებლობის შედარებით შეფასებას და შედეგების გავრცელებას აკადემიური პუბლიკაციისა და საჯარო ლექციების მეშვეობით.

მოსალოდნელ შედეგებში შედის რეცენზირებადი აკადემიური სტატია და საჯარო ლექციები როგორც ბტუ-ში, ისე ოქსფორდის უნივერსიტეტში. გარდა ამისა, პროექტში ჩართული იქნება ბტუ-ის სტუდენტი, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის შიდა აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერებას.

კვლევა წარმოადგენს ლიგალტექის სფეროზე ევროკავშირის AI აქტის ზეგავლენის შესახებ დროულ და აუცილებელ ანალიზს. ის აძლიერებს ბტუ-ის ლიდერ პოზიციას სამართლის ტექნოლოგიებში და ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, რომელსაც გავლენა ექნება როგორც აკადემიურ დისკურსზე, ასევე ლიგალტექის პრაქტიკულ განვითარებაზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

## 2. საპროექტო წინადადება

*პროექტის ღირებულება და მნიშვნელობა, კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება; კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა მიზნებსა და ამოცანებთან; პროექტის გეგმა-გრაფიკის განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან. (სიტყვათა რეკომენდებული რაოდენობა - 800).*

### პროექტის მნიშვნელობა და აქტუალობა

ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის (EU AI Act) შემოღება გარდამტეხ მომენტს წარმოადგენს სამართლის ტექნოლოგიების (ლიგალტექის) და მართლმსაჯულების სფეროში AI სისტემების განვითარებისა და დანერგვისათვის. ლიგალტექი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს იურისტებისა და სასამართლო ინსტიტუციების მხარდაჭერაში ავტომატიზაციის, მონაცემთა ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემების საშუალებით. რადგან AI თანდათანობით უფრო აქტიურად გამოიყენება ლიგალტექ პროდუქტებში, რეგულირება გადამწყვეტი



ხდება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

პროექტის მიზანია კრიტიკულად გაანალიზოს, როგორ აისახება ევროკავშირის AI აქტის რეგულაციები სამართლის ტექნოლოგიებზე - როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, რომელიც ცდილობს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ EU AI Act არის ახლად მიღებული სამართლებრივი ჩარჩო, რომლის პრაქტიკული შედეგები ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის. ამ ეტაპზე, სამართლის ტექნოლოგიებთან AI აქტის პირდაპირი მიმართება თითქმის არ არის შესწავლილი, რაც ქმნის მნიშვნელოვან ვაკუუმს. კვლევა მიზნად ისახავს ამ ხარვეზის შევსებას არა მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნების შესწავლით, არამედ ასევე რეალურ გარემოში არსებული გამოწვევებისა და შესაბამისობის პრაქტიკული სირთულეების გაანალიზებით.

რადგანაც ბტუ ლიგალტექის კვლევის მიმართულებით ლიდერია საქართველოში, პროექტი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიმართულებებს. ასევე, ოქსფორდის უნივერსიტეტის ფინტექ და ლიგალტექ საზოგადოების ჩართულობა აძლიერებს ბტუ-ის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტის საერთაშორისო გავლენასა და მნიშვნელობას.

პროექტის მნიშვნელობა სცილდება ვიწრო აკადემიურ ინტერესს. იგი პრაქტიკულადაა მნიშვნელოვანი დეველოპერებისთვის, იურისტებისთვის, რეგულატორებისა და სამართლის მკვლევრებისთვის, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც კომპანიებს სურთ ევროკავშირის ბაზარზე გასვლა. კვლევის შედეგები დაეხმარება ქართველ დეველოპერებს უკეთ გაიგონ თავიანთი ვალდებულებები ევროკავშირის AI აქტის ფარგლებში. ასევე, ეს კვლევა იქნება საფუძველი მომავალი ინიციატივებისა AI-ის მმართველობისა და სამართლის ტექნოლოგიების რეგულაციის სფეროში.

### **კვლევის სიახლე და ინოვაციურობა**

წარმოდგენილი პროექტი ერთ-ერთ პირველია, რომელიც სპეციალურად ფოკუსირდება ლიგალტექისა და EU AI აქტის გადაკვეთის წერტილზე. მიუხედავად იმისა, რომ აქტს უკვე განიხილავენ პოლიტიკურ და აკადემიურ დონეზე, მისი კონკრეტული გავლენა სამართლის ტექნოლოგიებზე კვლავ სათანადოდ არ არის შესწავლილი. კვლევის ინოვაციურობა მდგომარეობს მის თეორიულ-პრაქტიკულ განზომილებაში: ერთი მხრივ, აქტის სამართლებრივ-თეორიული ანალიზი და, მეორე მხრივ, მისი პრაქტიკული გამოყენების შესწავლა როგორც ევროკავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ - მათ შორის საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის AI აქტი ახლადმიღებული კანონმდებლობაა და ჯერ კიდევ არ შესულა სრულად ძალაში, ეს პროექტი განსაკუთრებით დროული და მიზანშეწონილია. ის შექმნის მნიშვნელოვან კვლევით რესურსს საერთაშორისო საზოგადოებისთვის და დაეხმარება იმ კითხვებისა და გამოწვევების გადაწყვეტას, რომლებიც მოჰყვება აქტის კონკრეტული მუხლების პრაქტიკულ დანერგვას.



ოქსფორდის Fintech და Legaltech საზოგადოების ჩართულობა პროექტს საერთაშორისო და ექსპერტული განხორციელებით ამდიდრებს. ასევე, პროექტში ჩართული იქნება ბტუ-ის სტუდენტი, რაც უნივერსიტეტში კვლევითი თანამშრომლობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

### კვლევის მიზნები და ამოცანები

პროექტის ძირითადი მიზანია შეისწავლოს, როგორ აისახება ევროკავშირის AI აქტის რეგულაციები სამართლის ტექნოლოგიებზე მართლმსაჯულების სექტორში.

კონკრეტული ამოცანები:

- განსაზღვროს, როდის და როგორ ვრცელდება AI აქტი ლიგალტექის პროდუქტებზე;
- დაადგინოს, რომელი ტიპის ლიგალტექ სისტემებსა და მოდელებს არეგულირებს აქტი;
- შეისწავლოს, რა ვალდებულებებს აწესებს ის ლიგალტექ დეველოპერებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის;
- გააანალიზოს აქტის ექსტრატერიტორიული გამოყენება, განსაკუთრებით საქართველოს კონტექსტში;
- შეადაროს ევროკავშირის აქტი საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას და შეაფასოს რეგულატორული თანხვედრა ან ხარვეზები.

### კვლევის მეთოდოლოგია

პროექტი გამოიყენებს ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიას, რომელიც წარმოადგენს ძირითად მეთოდოლოგიას სამართლის სფეროში და შეესაბამება კვლევის მიზანს, მოხდეს რთული სამართლებრივი ტექსტების ინტერპრეტაცია. კვლევა დაეფუძნება აქტის სამართლებრივი ჩარჩოსა და პრინციპების დეტალურ ანალიზს.

დამატებით, გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი მეთოდი საქართველოს კანონმდებლობასთან რეგულაციის შესაბამისობის შესაფასებლად. ეს დაეხმარება AI იმ ელემენტების გამოვლენას, რომლებიც თანხვედრაშია ან ეწინააღმდეგება შიდა რეგულაციებს.

### პროექტის განხორციელების გეგმა

პროექტის ხანგრძლივობაა 6 თვე და ის განხორციელდება შემდეგი გეგმის მიხედვით:

თვე 1-2: AI აქტის სამართლებრივი ანალიზი ფოკუსით სამართლის ტექნოლოგიებზე. ეს მოიცავს რეგულირებადი სისტემების იდენტიფიცირებას, რისკის კლასიფიკაციას და კონკრეტული



ვალდებულებების განსაზღვრას სხვადასხვა როლისათვის (პროვაიდერები, განმახორციელებლები, დისტრიბუტორები და სხვ.).

თვე 3: ოქსფორდის უნივერსიტეტის ფინტექ და ლიგალტექ საზოგადოებასთან კოლაბორაცია და კონსულტაციები უცხოელ ექსპერტთან. ეს ეტაპი დაეთმობა იმის შესწავლას, თუ როგორ ემზადებიან ევროკავშირში მოქმედი კომპანიები შესაბამისობის მოთხოვნების შესასრულებლად. ექსპერტი იქნება ან ოქსფორდის უნივერსიტეტის ფინტექ და ლიგალტექ საზოგადოების წევრი, ან იურიდიული ტექნოლოგიების სფეროში მოქმედი სხვა პროფესიონალი (რომლის შერჩევაც პროექტის განხორციელების პროცესში მოხდება).

თვე 4: აქტის ექსტერტორიული ეფექტების ანალიზი საქართველოსთან მიმართებით. ეს მოიცავს საქართველოში შექმნილი ლიგალტექ პროდუქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის სამართლებრივი გზების განსაზღვრას.

თვე 5–6: კვლევითი ტექსტის დასრულება, აკადემიური სტატიის მომზადება გამოსაქვეყნებლად და საჯარო ლექციების მასალის დახვეწა. სტატია წარდგენილი იქნება რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში, ხოლო საჯარო ლექციები ჩატარდება BTU-ში და ოქსფორდში.

## მოსალოდნელი შედეგები და გავლენა

პროექტის ძირითადი შედეგებია:

- აკადემიური სტატია, წარდგენილი რეცენზირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად;
- საჯარო ლექციები ბტუ-სა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში.

პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართლის ტექნოლოგიებში ხელოვნური ინტელექტის რეგულაციის სფეროს განვითარებას. ის დააზუსტებს, როგორ უნდა დეველოპერებმა მოახდინონ პრაქტიკაში სამართლებრივი შესაბამისობა ახალ რეგულაციებთან. საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტის ჩართულობა ხელს შეუწყობს აკადემიური პოტენციალის ზრდას.

## დასკვნა

ეს კვლევა წარმოადგენს დროულ და ინოვაციურ მცდელობას, რომელიც აერთიანებს აკადემიურ და პროფესიულ დონეზე მნიშვნელოვან საკითხებს ევროკავშირის ციფრული რეგულირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონმდებლობის გარშემო. იგი ეხმიანება ბტუ-ის, როგორც ლიგალტექის კვლევაში ლიდერის მისიას, ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობასა და სამართლის ტექნოლოგიების განვითარებას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.



## პროექტის ბიუჯეტი და დასაბუთება

პროექტის სახელწოდება: ლიგალტექსტ (სამართლის ტექნოლოგიებზე) ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის - EU AI Act-ის - გავლენა

პერსონალის საგრანტო დაფინანსება	მოთხოვნილი თანხა	
ასოგ. პროფ. ლადო სირდაძე	1200 ლარი	
ხარჯვის კატეგორია	მოთხოვნილი თანხა	დასაბუთება
კონსულტანტის ანაზღაურება	1000 ლარი	პროექტი განხორციელდება უცხოელ ექსპერტთან თანამშრომლობით
კვლევითი ასისტენტის ანაზღაურება	800 ლარი	პროექტში კვლევით ასისტენტად ჩართული იქნება ბტუ-ის სტუდენტი
<b>ჯამური თანხა:</b>	<b>3000 ლარი</b>	

## პროექტის განხორციელების გეგმა - გრაფიკი

პროექტის სახელწოდება: ლიგალტექზე (სამართლის ტექნოლოგიებზე) ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის - EU AI Act-ის - გავლენა

ხანგრძლივობა: 6 თვე

ამოცანა	თვე
ამოცანა 1: AI აქტის სამართლებრივი ანალიზი ფოკუსით სამართლის ტექნოლოგიებზე	1 - 2
ამოცანა 2: ოქსფორდის უნივერსიტეტის ფინტექ და ლინგალტექ საზოგადოებასთან კოლაბორაცია და კონსულტაციები უცხოელ ექსპერტთან	3
ამოცანა 3: აქტის ექსტერტორიული ეფექტების ანალიზი საქართველოსთან მიმართებით	4
ამოცანა 4: კვლევის დასრულება, აკადემიური სტატიის მომზადება და საჯარო ლექციების ჩატარება	5 - 6



## პროფესიული ბიოგრაფია

*პროექტის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პროფესიული ბიოგრაფია და კომპეტენცია კვლევის თემატიკასთან შესაბამისობის კუთხით (სიტყვათა რეკომენდებული რაოდენობა - არაუმეტეს 600 სიტყვისა).*

პროექტს განახორციელებს ასოცირებული პროფესორი ლადო სირდაძე, რომელსაც აქვს პროფესიული და აკადემიური გამოცდილება სამართლის ტექნოლოგიების, AI რეგულირების და შედარებითი სამართლის სფეროებში – რაც ზუსტად შეესაბამება მოცემული პროექტის მიმართულებას, სამართლის ტექნოლოგიებზე ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის გავლენას.

ლადო სირდაძე ამჟამად იკავებს ასოცირებული პროფესორის პოზიციას სამართლის ტექნოლოგიების მიმართულებით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (BTU), რომელიც საქართველოს წამყვანი ინსტიტუტია იურიდიული ტექნოლოგიების კვლევის სფეროში. მისი პოზიცია BTU-ში პირდაპირ შეესაბამება პროექტის მიზნებს.

ლადო სირდაძის პროფესიულ საქმიანობაში შედის ასევე სამართლის ინჟინერის პოზიცია ბერლინში დაფუძნებულ კომპანიებში – Rulemapping Solutions GmbH და KnowledgeTools International GmbH. აღნიშნულ პოზიციებზე მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა AI-ზე დაფუძნებული სამართლებრივი ავტომატიზაციის პროდუქტების შემუშავებასა და დანერგვაში, რაც პირდაპირ უკავშირდება ამ პროექტში განსახილველ რეგულირების საკითხებს. ლადო სირდაძეს შექმნილი აქვს სამართლის ტექნოლოგიების პროდუქტები საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის, მათ შორის სარჩელის ავტომატური გენერატორი გერმანიის წამყვანი იურიდიული ფირმებისთვის (გამოყენებული 200,000-ზე მეტ სასამართლო საქმეში) და გადაწყვეტილებების გენერატორები გერმანიის ფედერალური სამინისტროებისთვის.

ლადო სირდაძე არის Oxford University Commonwealth Law Journal-ის ასოცირებული რედაქტორი და Oxford University Fintech and Legaltech Society-ის მრჩეველი (და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი).

მის გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის არის ათეულზე მეტი რეცენზირებადი სტატია და წიგნი ისეთ თემებზე, როგორებიცაა სამართლის ტექნოლოგიების გამოყენება, სამართლებრივი კონსულტაციის ავტომატიზაცია, საკანონმდებლო პროცესების გაციფრულება და შედარებითი სამართალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პუბლიკაციები



ლტოლვილებისთვის სამართლებრივი კონსულტაციის ავტომატიზაციის ინსტრუმენტებზე და საჯარო უწყებებში ციფრული სამართლებრივი სისტემების დანერგვის გამოწვევებზე. ეს ნაშრომები ხაზს უსვამს მის ღრმა ჩართულობას როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებში – რაც პროექტის მიზნებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, ლადო სირდაძემ წარმატებით უხელმძღვანელა არაერთ საგრანტო პროექტს საქართველოში, იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს პარლამენტთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის USAID-თან და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით. ეს პროექტები ეხებოდა სამართლებრივი კონსულტაციების ავტომატიზაციას, საკანონმდებლო პროცედურების ციფრულ გარდაქმნასა და AI-ზე დაფუძნებული სამართლებრივი ინსტრუმენტების განვითარებას – რაც მას ანიჭებს მნიშვნელოვან გამოცდილებას სამართალსა და ტექნოლოგიებს შორის გადაკვეთის წერტილზე მოქმედი მრავალდარგოვანი ინიციატივების მართვაში.

ლადო სირდაძე არის საქართველოში პირველი საუნივერსიტეტო კურსის ავტორი ლიგალტექის სფეროში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მას განხორციელებული აქვს პროექტები „ლიგალტექის ციფრული აკადემია“ და „სამართლის ინოვაციური ტექნოლოგიები.“